სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი № CON250000381-3

ქ. თბილისი

19 ივნისი, 2026 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ხარიტონ შალამბერიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ხელმძღვანელის მოადგილე;

ქეთევან ქადაგიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ხელმძღვანელის მოადგილე;

ნინო გამრეკელი - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს საქონლის ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

სალომე მელაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მომსახურების ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

ლაშა კირვალიძე - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს საქონლის ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებების, საწვავის, ენერგორესურსებისა და სხვა ნედლეულის შესყიდვების სამმართველოს უფროსი;

მარინე გვრიტიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს საქონლის ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის ეკიპირების, ფორმების, აქსესუარებისა და მასთან დაკავშირებული საქონლის შესყიდვის სამმართველოს უფროსი;

სალომე ძოძუაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს საქონლის ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის სამედიცინო აპარატურის, სამედიცინო და ჰიგიენური საქონლის შესყიდვების სამმართველოს უფროსი;

ქეთევან კუპრაძე - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს საქონლის ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის საკვები პროდუქტების შესყიდვების სამმართველოს უფროსი;

თეონა დანელია - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მომსახურების ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის, სადაზღვევო და სხვა სოციალურ ღონისძიებებთან დაკავშირებული მომსახურების სამმართველოს უფროსი.

აპარატის წევრები:

ელენე ქავთარაძე - სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მომსახურების ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის საინფორმაციო, სატელეკომუნიკაციო, საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურების შესყიდვების სამმართველოს უფროსი (სხდომის მდივანი);

ლანა დვალი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მომსახურების ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის ტრანსპორტირების, სატრანსპორტო საშუალებების ნაწილებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვების სამმართველოს უფროსი.

დღის წესრიგი:

2026 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯის (CPV39100000 - ავეჯი; 39121000 - საწერი მაგიდები და მაგიდები; 39121200 - მაგიდები; 39130000 - საოფისე ავეჯი; 39132100 - დოკუმენტების შესანახი კარადები; 39134100 - კომპიუტერის მაგიდები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის აუქციონის გარეშე (**CON250000381**) და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან ქადაგიძემ სატენდერო კომისიას შეახსენა შემდეგი ინფორმაცია:

2026 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში (**CON250000381**) გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოვლინდა **ი/მ გიორგი ელიანოვი** (ს/კ: 49001007878), რომელსაც სატენდერო დოკუმენტაციის 10.1.5. ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, ევალებოდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაეფორმებინა სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ით განსაზღვრულ ყველა შემსყიდველ ორგანიზაციასთან (ჯამში 235 შემსყიდველი ორგანიზაცია), რომელიც მიმართავდა მას აღნიშნულის თაობაზე გამარჯვებულად გამოვლენიდან, 2025 წლის 24 ნოემბრიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

ქეთევან ქადაგიძემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ 2026 წლის 23 მარტს, სატენდერო კომისიას ელექტრონული ფოსტის მისამართზე - furniture2026@spa.gov.ge მიმართა სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N2-ში (აღნიშნულ დანართში მოცემულია სავალდებულო შემსყიდველთა სია), 168-ე პოზიციით განსაზღვრულმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ, **ქ. თბილისის N117 საჯარო სკოლამ** (ს/ნ 208145899).

აღნიშნულ მომართვაში შემსყიდველი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მან დადგენილ ვადაში (45 დღიანი ვადა) ოთხჯერ მიმართა ი/მ გიორგი ელიანოვს ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე (2025 წლის 27 ნოემბერს, 6 დეკემბერს და 12 დეკემბერს - დადგენილ ვადაში), ხოლო მეოთხედ - 2026 წლის 2 მარტს, თუმცა მიმწოდებელი ყოველ ჯერზე უარს აცხადებდა ხელშეკრულების გაფორმებაზე (თან ერთვის წინამდებარე ოქმს).

შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმაციით, ი/მ გიორგი ელიანოვი აღნიშნულის მიზეზად სატელეფონო საუბრებში ასახელებდა სკოლისათვის მისაწოდებელი ავეჯის მცირე რაოდენობას (მიწოდების არარენტაბელურობის გამო).

ქეთევან ქადაგიძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ სატენდერო კომისიის აპარატმა ზემოაღნიშნული საკითხის განხილვისა და დარეგულირების მიზნით, 2026 წლის 11 მაისს წერილობით მიმართა ი/მ გიორგი ელიანოვს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე განმარტების მიღებისა და საკუთარი პოზიციის წარმოდგენის თაობაზე (თან ერთვის წინამდებარე ოქმს), თუმცა ი/მ გიორგი ელიანოვმა წერილი უპასუხოდ დატოვა და სატენდერო კომისიას არ წარუდგინა საკუთარი განმარტება/პოზიცია.

აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, სატენდერო კომისიას ასევე მიმართა **სსიპ „ტექნიკურმა და სამშენებლო ლაბორატორიამ“** (ს/კ 245638029), რომელმაც აღნიშნა, რომ ი/მ გიორგი ელიანოვმა მასთან 2026 წლის 15 იანვარს გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №10/01-22, რომლის ფარგლებშიც საოფისე ავეჯის მიწოდების საბოლოო ვადად განსაზღვრული იყო 2026 წლის 30 აპრილი. შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმაციით, წინამდებარე №10/01-22 ხელშეკრულების 4.6. პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელს, ი/მ გიორგი ელიანოვს, ელექტრონული ფოსტის მისამართზე (giorgi.elianovi@gmail.com) არანაკლებ 40 კალენდარული დღით ადრე გაეგზავნა შეტყობინება შესყიდვის ობიექტის მოწოდების აუცილებლობის შესახებ და არაერთხელ განხორციელდა მასთან სატელეფონო კომუნიკაცია მიწოდების ვადების შეხსენებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულების მოთხოვნით. აღნიშნულის საპასუხოდ, ი/მ გიორგი ელიანოვმა ითხოვა ორკვირიანი ვადა, რომლის ფარგლებშიც დაასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საოფისე ავეჯის დამზადებას, თუმცა მიმწოდებლის მიერ დღემდე არ არის უზრუნველყოფილი საოფისე ავეჯის მიწოდება. შემსყიდველი ორგანიზაცია მომართვაში განმარტავს,

რომ არაერთი კომუნიკაციის მიუხედავად, „მიმწოდებლის მხრიდან არ ხდება კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესაძლო თარიღთან დაკავშირებით. ამასთანავე, კომუნიკაციის პროცესში მომწოდებლის მხრიდან არაერთხელ დაფიქსირდა არაპროფესიული და შეუსაბამო დამოკიდებულება. კერძოდ, მათი განმარტებით, ჩვენი შეკვეთის ღირებულება მათთვის მცირე მოცულობისაა და მისი შესრულება „არ ღირს", ასევე არაერთხელ შემოგვთავაზა ხელშეკრულების შეწყვეტა. მომწოდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ ეტაპზე არ გააჩნია ინფორმაცია, თუ როდის შეძლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას." (თან ერთვის წინამდებარე ოქმს).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია" (ს/კ 245638029) სატენდერო კომისიას სთხოვს გადაწყვეტილებას შესყიდვის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

ქეთევან ქადაგიძემ კომისიას ასევე მოახსენა, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა სატენდერო კომისიის აპარატის წევრებთან სატელეფონო კომუნიკაციით დაფიქსირდა არაერთი უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ი/მ გიორგი ელიანოვი არ თანამშრომლობს შემსყიდველ ორგანიზაციებთან, არ გადის მათთან კონტაქტზე და არ პასუხობს სატელეფონო ზარებს, ისევე როგორც გაგზავნილ წერილებს.

შესყიდვის ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტის „ი" და „კ" ქვეპუნქტების მიხედვით კი, მიმწოდებელი ვალდებულია სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე. ამასთან, მიმწოდებელი ასევე ვალდებულია ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ ნებისმიერ საკითხთან, მათ შორის გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და მიაწოდოს ინფორმაცია შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

ამდენად, ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ბუნდოვანია შეძლებს თუ არა გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულებების შესრულების პროცესში აღმოცენებული შეფერხებების აღმოფხვრას და გააგრძელებს თუ არა ტენდერითა და ხელშეკრულებებით მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია:

ა) საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების წესისა და პირობების" 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **სსიპ „ტექნიკურ და სამშენებლო ლაბორატორიას"** (ს/კ 245638029) მიეცეს მითითება კონსოლიდირებული ტენდერის CON250000381 ფარგლებში, ი/მ გიორგი ელიანოვთან 2026 წლის 15 იანვარს გაფორმებული №10/01-22 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და შემსყიდველმა ორგანიზაციამ იმოქმედოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ბ) საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების წესისა და პირობების" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ი/მ გიორგი ელიანოვს ჩამოერთვას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი ელექტრონული გარანტია, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 31 866.00 (ოცდათერთმეტი ათას რვაას სამოცდაექვსი) ლარს.

გ) საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების წესისა და პირობების" მე-20 მუხლის მე-8 პუნქტისა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტების, ასევე სატენდერო დოკუმენტაციის 10.1.18. ქვეპუნქტის შესაბამისად, შეწყდეს CON250000381 კონსოლიდირებული ტენდერი. შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცეთ მითითება შეწყვიტონ აღნიშნული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები და იმოქმედონ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა და სატენდერო კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ გამოთქმულ მოსაზრებებს.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების წესისა და პირობების“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **სსიპ „ტექნიკურ და სამშენებლო ლაბორატორიას“ (ს/კ 245638029)** მიეცეს მითითება კონსოლიდირებული ტენდერის CON250000381 ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10/01-22 ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და შემსყიდველმა ორგანიზაციამ იმოქმედოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების წესისა და პირობების“ მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ი/მ გიორგი ელიანოვს ჩამოერთვას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი ელექტრონული გარანტია, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რაც შეადგენს **31 866.00** (ოცდათერთმეტი ათას რვაას სამოცდაექვსი) ლარს.

3. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების წესისა და პირობების“ მე-20 მუხლის მე-8 პუნქტისა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტების, ასევე სატენდერო დოკუმენტაციის 10.1.18. ქვეპუნქტის შესაბამისად, შეწყდეს სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერი (CON250000381). შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცეთ მითითება შეწყვიტონ აღნიშნული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები და იმოქმედონ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის გათვალისწინებით, წინამდებარე სხდომის ოქმი, სისტემაში აიტვირთოს ხელმოწერისთანავე.

5. წინამდებარე ოქმის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, გადაწყვეტილების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N64.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: _____ ხარიტონ შალამბერიძე

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: _____ ქეთევან ქადაგიძე

სატენდერო კომისიის წევრი: _____ ნინო გამრეკელი

სატენდერო კომისიის წევრი: _____ სალომე მელაშვილი

სატენდერო კომისიის წევრი: _____ ლაშა კირვალიძე

სატენდერო კომისიის წევრი: _____ მარინე გვრიტიშვილი

სატენდერო კომისიის წევრი: _____ სალომე ძოძუაშვილი

სატენდერო კომისიის წევრი: _____ ქეთევან კუპრაძე

სატენდერო კომისიის წევრი: თეონა დანელია

სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი (სხდომის მდივანი): ელენე ქავთარაძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ლანა დვალი

LEPL Central Purchasing Body

Digitally signed by LEPL Central Purchasing Body
Date: 2026.06.19 19:57:21 +04'00'